

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ელ თი

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	10
ძირითადი საქმიანობა	10
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი.....	10
პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	18
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	18
ბალანსის შემდგომი მოვლენები	19
მმართველობითი ანგარიში.....	20

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ელ თი-ს დამფუძნებელს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ელ თი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მის ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მიმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღეკვეთა არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-340628)

ბელა ჩადუნელი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-317228)

25 ივლისი, 2022

თბილისი, საქართველო



WE ARE AN INDEPENDENT MEMBER OF
THE GLOBAL ADVISORY
AND ACCOUNTING NETWORK

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ. N2
თბილისი, საქართველო
ტელ:(995) 032 2 47 09 00
ე-ფოსტა: info@fmg.ge

Financial Management Group LTD
Dolidze Str. #2
Tbilisi, Georgia
Tel:(995) 032 2 47 09 00
E-mail: info@fmg.ge

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-317228)

25 ივლისი, 2022

თბილისი, საქართველო



შპს ელ თი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	3	10,046,605	10,705,869
არამატერიალური აქტივები		211,928	196,528
სულ გრძელვადიან აქტივები		10,258,533	10,902,397
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4	570,422	2,031,287
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	201,194	520,389
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	6	2,636,937	438,915
სულ მიმდინარე აქტივები		3,408,553	2,990,591
სულ აქტივები		13,667,086	13,892,988
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		308	308
გაუნაწილებელი მოგება		(1,532,945)	(2,877,166)
სულ კაპიტალი		(1,532,637)	(2,876,859)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7	10,425,291	13,088,252
გადასახდელი პროცენტები	7	214,454	169,361
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		10,639,745	13,257,613
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	3,420,024	2,175,039
გადასახდელი გადასახადები		26,685	42,308
მოკლევადიანი სესხები და გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	7	1,113,269	1,294,887
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,559,978	3,512,234
სულ ვალდებულებები		15,199,723	16,769,846
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,667,086	13,892,988

ლაშა ლომიძე
დირექტორი


25 ივლისი 2022
თბილისი, საქართველო

შპს ელ თი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	3	10,046,605	10,705,869
არამატერიალური აქტივები		211,928	196,528
სულ გრძელვადიან აქტივები		10,258,533	10,902,397
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4	570,422	2,031,287
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	201,194	520,389
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	6	2,636,937	438,915
სულ მიმდინარე აქტივები		3,408,553	2,990,591
სულ აქტივები		13,667,086	13,892,988
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		308	308
გაუნაწილებელი მოგება		(1,532,945)	(2,877,166)
სულ კაპიტალი		(1,532,637)	(2,876,859)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7	10,425,291	13,088,252
გადასახდელი პროცენტები	7	214,454	169,361
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		10,639,745	13,257,613
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	3,420,024	2,175,039
გადასახდელი გადასახადები		26,685	42,308
მოკლევადიანი სესხები და გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	7	1,113,269	1,294,887
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,559,978	3,512,234
სულ ვალდებულებები		15,199,723	16,769,846
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,667,086	13,892,988

ლამა ლომიძე
დირექტორი

25 ივლისი 2022
თბილისი, საქართველო



შპს ელ თი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	34,091,045	36,144,464
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(29,595,782)	(32,144,678)
მთლიანი მოგება		4,495,263	3,999,786
მიწოდების ხარჯი	10	(1,277,521)	(1,091,169)
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(589,252)	(605,822)
ხელფასის ხარჯი		(926,029)	(741,144)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი		(767,670)	(770,452)
საოპერაციო მოგება		934,790	791,198
არასაოპერაციო შემოსავალი		85,247	118,138
არასაოპერაციო ზარალი		(202,397)	(206,377)
საპროცენტო ხარჯი	7	(331,695)	(529,429)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		858,276	(1,727,949)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	-	409,431	(2,345,617)
მოგება დაბერგვრამდე		1,344,222	(1,554,419)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1,344,222	(1,554,419)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		1,344,222	(1,554,419)

ლამა ლომიძე
დირექტორი

25 ივლისი 2022
თბილისი, საქართველო

შპს ელ თი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	მენიშვნა	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	34,091,045	36,144,464
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(29,595,782)	(32,144,678)
მთლიანი მოგება		4,495,263	3,999,786
მიწოდების ხარჯი	10	(1,277,521)	(1,091,169)
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(589,252)	(605,822)
ხელფასის ხარჯი		(926,029)	(741,144)
ცვთა და ამორტიზაციის ხარჯი		(767,670)	(770,452)
საოპერაციო მოგება		934,790	791,198
არასაოპერაციო შემოსავალი		85,247	118,138
არასაოპერაციო ზარალი		(202,397)	(206,377)
საპროცენტო ხარჯი	7	(331,695)	(529,429)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		858,276	(1,727,949)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		409,431	(2,345,617)
მოგება დაბეგრვამდე		1,344,222	(1,554,419)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1,344,222	(1,554,419)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		1,344,222	(1,554,419)

ლამა ლომიძე
დირექტორი

25 ივლისი 2022
თბილისი, საქართველო



შპს ელ თი
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	308	(1,322,747)	(1,322,440)
წმინდა მოგება	-	(1,554,419)	
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-	
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	308	(2,877,166)	(2,876,859)
წმინდა მოგება	-	1,344,222	
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-	
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	308	(1,532,945)	(1,532,637)

ლაშა ლომიძე
 დირექტორი

25 ივლისი 2022
 თბილისი, საქართველო

შპს ელ თი
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	308	(1,322,747)	(1,322,440)
წმინდა მოგება	-	(1,554,419)	
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-	
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	308	(2,877,166)	(2,876,859)
წმინდა მოგება	-	1,344,222	
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-	
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	308	(1,532,945)	(1,532,637)

ლამა ლომიძე
 დირექტორი



25 ივლისი 2022
 თბილისი, საქართველო

შპს ელ თი
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	1,344,222	(1,554,419)
კორექტირება:		
ცვეთის ხარჯი	767,670	770,452
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(858,276)	1,727,949
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	1,253,616	943,982
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	314,574	(155,654)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	1,460,865	3,347,200
ცვლილებები გადასახადებში	(15,623)	179,679
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	45,093	50,653
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1,506,411	(1,155,555)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	4,564,936	3,210,306
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების მიღება	(72,710)	(128,946)
ძირითადი საშუალების გასვლა	864	17,291
არამატერიალური აქტივების მიღება	(51,960)	(122,789)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(123,806)	(234,444)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი სესხები	(2,147,161)	(2,592,992)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2,147,161)	(2,592,992)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(95,948)	6,044
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	2,198,021	388,914
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	438,915	50,000
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	2,636,937	438,915

ლამა ლომიძე
 დირექტორი

25 ივლისი 2022
 თბილისი, საქართველო

შპს ელ თი
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	1,344,222	(1,554,419)
კორექტირება:		
ცვეთის ხარჯი	767,670	770,452
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(858,276)	1,727,949
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	1,253,616	943,982
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	314,574	(155,654)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	1,460,865	3,347,200
ცვლილებები გადასახადებში	(15,623)	179,679
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	45,093	50,653
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1,506,411	(1,155,555)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	4,564,936	3,210,306
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების მიღება	(72,710)	(128,946)
ძირითადი საშუალების გასვლა	864	17,291
არამატერიალური აქტივების მიღება	(51,960)	(122,789)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(123,806)	(234,444)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი სესხები	(2,147,161)	(2,592,992)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2,147,161)	(2,592,992)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(95,948)	6,044
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	2,198,021	388,914
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	438,915	50,000
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	2,636,937	438,915

ლამა ლომიძე
დირექტორი

25 ივლისი 2022
თბილისი, საქართველო



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

შპს „ელ თი“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2017 წლის 25 აპრილს, მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი N160. კომპანიის დამფუძნებელი და 100 წილის მფლობელია რაუფ ხალილოვი X4980653 (შვეიცარია).

ორგანიზაცია დაფუძნებულია 2017 წელს, მაგრამ ბაზარზე ოპერირება და ეკონომიკური საქმიანობა დაიწყო 2018 წლის აგვისტოდან. ორგანიზაცია წარმოადგენს საქართველოში ლექსუსის ოფიციალურ დილერს და ახორციელებს ბრენდის ავტომობილების, სათადარიგო ნაწილების და მასთან დაკავშირებული მომსახურების რეალიზაციას.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) შესაბამისად.

- აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.
- თანხები მრგვალდება უახლოეს ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. წარდგენილ ანგარიშგებაში არ არსებობს რისკი, რომელიც შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაძლოა იყოს არა სამართლიანი.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით.

უცხოური ვალუტის ოპერაციები (გაგრძელება)

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	3.5040	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ ვალუტაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადუფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს შესაბამის კორექტირებას და ასახვას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე და თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმის, რომ ბალანსზე რიცხვული მარაგების ღირებულება გაუფასურებულია ხდება მათი კორექტირება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებული მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღიარდება საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

დაბეგრა (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული უძრავი ქონება და სხვა ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს მისაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის ბოლოს მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

პერიოდის ცვთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

- შენობა-ნაგებობები - 20 წელი
- მანქანა დანადგარები - 5 წელი
- ავეჯი და ინვენტარი - 7 წელი
- კომპიუტერული ტექნიკა - 6 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები - 5 წელი

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსი არა მიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არა მიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (გამსესხებლისთვის გადასახდელი ფულის რაოდენობის მიმდინარე ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). მიღებული სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და წარდგენილია ფინანსურ ხარჯებში.

მიღებული სესხები (გაგრძელება)

სესხით მომსახურებაზე განხორციელებული გადახდები (საპროცენტო ხარჯი) აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდის დანახარჯზე რომელშიც მოხდა მისი გაწევა.

სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები თუ კომპანიას არ აქვს უპირობო უფლება საანგარიშგებო თარიღის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადაავადოს ვალდებულება.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელის მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

შემოსავალი

კომპანიის შემოსავლის ძირითადი ნაწილი მოიცავს ავტომობილების რეალიზაციიდან და მის ტექ მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს. კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ როდესაც დაკმაყოფილებულია მასთან დაკავშირებული ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა.

- (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

კომპანიის მიერ საგარანტიო მომსახურების ფარგლებში გაწეული მომსახურება ანაზღაურებადია მწარმოებელი ქარხნის მიერ, ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი მომსახურებით გაწეული შემოსავალი და ხარჯი ელიმინირებულია და წარდგენილია შესაბამისად.

თვითღირებულების ხარჯები

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს რეალიზებული საქონლის ღირებულებისა და მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებისაგან. ასევე გაწეული სერვისის პირდაპირ ხარჯებს, რომელიც მოიცავს ხელფასების და სხვა მომსახურების ხარჯებს.

მიწოდების ხარჯები

მიწოდების ხარჯები მოიცავს გაყიდვებთან და მიწოდებასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს, როგორიცაა სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი, საწვავის და ხელფასის ხარჯი.

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოუქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

საწყისი ღირებულება

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობა	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობები	მანქანა- დანადგარები	სხვა ძირითადი საშუალებები
ბალანსი 31/12/2019	3,906,560	-	5,544,186	301,090	290,963	686,255	605,907
დანამატები	-	2,936	4,335	2,446	61,206	-	23,530
აქტივების ჩამოწერა	-	(2,936)	-	-	(14,355)	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(298,375)	(65,977)	(90,123)	(87,429)	(199,131)
კორექტირება	-	-	-	-	-	-	34,493
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	252	-	-
ბალანსი 31/12/2020	3,906,560	-	5,250,183	237,559	247,943	598,826	464,799
დანამატები	-	-	23,788	1,072	30,153	-	17,697
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-	(19,975)	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(299,750)	(66,202)	(92,180)	(87,429)	(185,549)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	19,111	-	-
ბალანსი 31/12/2021	3,906,560	-	4,974,220	172,429	185,052	511,397	296,946
ბალანსი 31/12/2020	3,906,560	-	5,250,183	237,559	247,943	598,826	464,799
ბალანსი 31/12/2021	3,906,560	-	4,974,220	172,429	185,052	511,397	296,946

შენიშვნა 4 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს სარეალიზაციოდ განკუთვნილ ავტომობილებს და სათადარიგო ნაწილებს:

	31.12.2021	31.12.2020
საქონელი	562,957	2,020,945
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7,465	10,342
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	570,422	2,031,287

შენიშვნა 5 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	99,487	410,897
მომწოდებლებთან გადახდილი ავანსები	101,708	109,492
სულ მიმდინარე მოთხოვნები	201,194	520,389

შენიშვნა 6 - ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე.

	31.12.2021	31.12.2020
ლარი საბანკო ანგარიშებზე	331,507	214,463
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	2,304,399	209,022
ნაღდი ფული სალაროში	1,031	15,430
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	1,031	15,430
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	2,636,937	438,915

შენიშვნა 7 - გრძელვადიანი სასესხო და მათი მიმდინარე ნაწილი

პერიოდის ბოლოს ორგანიზაციის ბალანსზე არსებული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები მოიცავს უცხოურ ვალუტაში არსებულ ვალდებულებებს რეზიდენტ და არა რეზიდენტი საწარმოებთან.

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადიანობა	31.12.2021	31.12.2020
Novitas	USD	0.5%	26.04.2025	3,329,920	3,915,537
Novitas	USD	0.5%	25.07.2025	4,336,640	4,587,240
Novitas	USD	0.5%	23.04.2026	1,239,040	1,310,640
სს თიბისი ბანკი	USD	6%	17.04.2025	2,632,960	4,569,722
სულ გრძელვადიანი სესხები				11,538,560	14,383,139

შენიშვნა 7 - გრძელვადიანი სასესხო და მათი მიმდინარე ნაწილი (გაგრძელება)

ცხრილში მოცემულია საანგარიშო პერიოდში სასესხო ვალდებულებების ცვლილებები:

	2021	2020
ნასესხები ფულადი სახსრები და გადასახდელი პროცენტები	14,552,500	14,639,997
სესხზე დარიცხული პროცენტი	331,695	478,776
გადახდილი პროცენტი	(286,602)	(420,424)
გადახდილი ძირი თანხა	(2,147,161)	(2,087,935)
საკურსო სხვაობა	(697,418)	1,942,086
სულ ნასესხები სახსრები	11,753,014	14,552,500
გრძელვადიანი ნაწილი	10,639,745	13,257,613
მოკლევადიანი ნაწილი	1,113,269	1,294,887

შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2021	31.12.2020
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	37,319	997,614
გადასახდელი ხელფასები	39,735	83,691
მიღებული ავანსები	3,342,970	1,093,734
სულ მიმდინარე ვალდებულებები	3,420,024	2,175,039

შენიშვნა 9 - წმინდა შემოსავალი

პერიოდის შემოსავლები მოიცავს ავტომობილების და სათადარიგო ნაწილების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს და მასთან დაკავშირებულ თვითღირებულების ხარჯებს

	31.12.2021	31.12.2020
შემოსავალი ავტომობილების რეალიზაციიდან	31,114,502	29,547,824
შემოსავალი სათადარიგო ნაწილების რეალიზაციიდან	2,174,617	2,093,151
სხვა შემოსავლები	801,925	4,503,490
გაყიდული ავტომობილების და სათადარიგო ნაწილების თვითღირებულება	(29,595,782)	(32,144,678)
წმინდა შემოსავალი	4,495,263	3,999,786

შენიშვნა 10 - მიწოდების ხარჯი

	31.12.2021	31.12.2020
რეკლამის და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	187,360	98,579
საწვავის ხარჯი	15,311	9,582
მიწოდებასთან დაკავშირებული ხელფასის ხარჯი	1,068,008	979,607
სხვა მიწოდების ხარჯი	6,843	3,402
სულ მიწოდების ხარჯი	1,277,521	1,091,169

შენიშვნა 11 - ადმინისტრაციული ხარჯი

	31.12.2021	31.12.2020
საპენსიო ხარჯი	39,548	33,253
კომუნალური ხარჯი	113,073	76,691
მივლინების ხარჯი	1,715	180
საგადასახადო ხარჯი	101,999	98,046
დაზღვევის ხარჯი	36,554	42,188
IT მომსახურების ხარჯები	95,316	81,886
კომუნიკაციის ხარჯი	19,771	21,437
აუდიტის და საკონსულტაციო ხარჯი	18,775	26,195
სხვა საერთო ხარჯი	162,501	225,947
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	589,252	605,822

პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას არც ერთ არსებულ ან პოტენციურ სასამართლო დავაზე, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
- (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
- (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
- (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;
- (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში არ არის იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები, ხოლო საანგარიშო პერიოდში მმართველი დირექტორის მიერ გამომუშავებული ანაზღაურება 2021 წელს შეადგენდა 445,232 ლარს ხოლო 2020 წელს 448,390 ლარს.

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიაში არანაირი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ახსნა-განმარტებით შენიშვნებში წარდგენას არ მომხდარა.

მმართველობითი ანგარიში

შპს ელ თი დაფუძნდა 2017 წლის 25 აპრილს. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შვეიცარიის მოქალაქე რაუფ ხალილოვი. მმართველობითი ორგანო წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს სახით, რომლის სათავეშია რაუფ ხალილოვი, ხოლო წევრები არიან საქართველოს მოქალაქე ლაშა ლომიძე (კომპანიის დირექტორი) და იაპონიის მოქალაქე აკიჰისა ვატანაბე. შპს ელ თი წარმოადგენს შპს ტოიოტა კავკასიის ოფიციალურ სადილეროს საქართველოში და სარგებლობს ლექსუსის ბრენდის ავტომობილების რეალიზაციის ექსკლუზიური უფლებით. კომპანია საავტომობილო ბაზარზე წარმოდგენილია „ლექსუს თბილისის“ საფირმო სახელწოდებით. მისი იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: აღმაშენებლის ხეივანი N160, 0131, თბილისი, საქართველო.

ლექსუს თბილისის ცენტრი მომხმარებლებს სთავაზობს კროსოვერებს, სედანებს, მაღალი გამავლობის ავტომობილებსა და სპორტულ კუპებს. 5 მოდელი ჰიბრიდული ვერსიითაც არის ხელმისაწვდომი. ცენტრის ტერიტორიაზე ასევე განლაგებულია ლექსუსის ავტორიზებული სერვის-ცენტრი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური დანადგარებით და დაკომპლექტებულია ტოიოტას სერტიფიცირებული ტექნიკოსებით.

სუბიექტის განვითარების გეგმები

შპს ელ თი მოქმედებს იაპონური ბიზნესის ფილოსოფიის „კაიზენი“-ს პრინციპით, რაც გულისხმობს მუდმივ სწრაფვას გაუმჯობესებისკენ. კომპანიის მიზანია პროცესების დახვეწის შედეგად საოპერაციო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, რაც მოითხოვს მთელი გუნდის ჩართულობას. ბიზნეს პროცესების ეფექტიანი მართვა პირდაპირ არის დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებასთან და შემოსავლების ზრდასთან.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

შპს ელ თი-ს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (IFRS for SMEs) შესაბამისად. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესის შესაბამისად. კომპანია მუდმივად აკონტროლებს ფინანსურ და არა ფინანსურ მაჩვენებლებს, რათა მენეჯმენტი იყოს სრულად ინფორმირებული და შემდგომი გადაწყვეტილებები მიღებულ იქნას შესაბამისი სტრატეგიით.

კომპანიის მენეჯმენტი ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს აფასებს შემდეგ ფინანსურ მაჩვენებლებს:

- კომპანიის მომგებიანობა
- მარაგების ბრუნვალობა
- ფულადი ნაკადების მოძრაობა

არა ფინანსურ მაჩვენებლებს:

- კლიენტთა კმაყოფილება
- სერვისის მომსახურების ხარისხი

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში მოღვაწეობა გარკვეულწილად რისკის მატარებელია. სააღრიცხვო, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე და შესაბამისად ფინანსურ მდგომარეობაზე. არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ რუსეთ-უკრაინის მიმდინარე საომარი ვითარებები, რომელიც დაძაბულ პოლიტიკურ გარემოს ქმნის არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი ევროპის და მსოფლიო მასშტაბით. ქვეყანაში პოლიტიკური დესტაბილიზაციის შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ შემცირდეს მოთხოვნა ჩვენს საქონელსა და მომსახურებაზე და საფრთხე შეექმნას კომპანიის კეთილდღეობას.

გარდა ზემოთ აღნიშნული გარე ფაქტორებისა, კომპანიისთვის, ისევე როგორც მთელი ავტო ინდუსტრიისთვის, უმთავრეს რისკს წარმოადგენს წარმოების პროცესის ხშირი შეფერხებები, გლობალური ლოგისტიკური კრიზისის და მაკომპლექტებელი დეტალების მწვავე დეფიციტის გამო. აღნიშნული პრობლემების შედეგად, მკვეთრად არის შემცირებული წარმოებული ავტომობილების რაოდენობა.

ლაშა ლომიძე
დირექტორი

25.07.2022

მმართველობითი ანგარიში

შპს ელ თი დაფუძნდა 2017 წლის 25 აპრილს. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შვეიცარიის მოქალაქე რაუფ ხალილოვი. მმართველობითი ორგანო წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს სახით, რომლის სათავეშია რაუფ ხალილოვი, ხოლო წევრები არიან საქართველოს მოქალაქე ლაშა ლომიძე (კომპანიის დირექტორი) და იაპონიის მოქალაქე აკიჰისა ვატანაბე. შპს ელ თი წარმოადგენს შპს ტოიოტა კავკასიის ოფიციალურ სადილეროს საქართველოში და სარგებლობს ლექსუსის ბრენდის ავტომობილების რეალიზაციის ექსკლუზიური უფლებით. კომპანია საავტომობილო ბაზარზე წარმოდგენილია „ლექსუს თბილისის“ საფირმო სახელწოდებით. მისი იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: აღმაშენებლის ხეივანი N160, 0131, თბილისი, საქართველო.

ლექსუს თბილისის ცენტრი მომხმარებლებს სთავაზობს კრსოვერებს, სედანებს, მაღალი გამავლობის ავტომობილებსა და სპორტულ კუპებს. 5 მოდელი ჰიბრიდული ვერსიითაც არის ხელმისაწვდომი. ცენტრის ტერიტორიაზე ასევე განლაგებულია ლექსუსის ავტორიზებული სერვის-ცენტრი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური დანადგარებით და დაკომპლექტებულია ტოიოტას სერტიფიცირებული ტექნიკოსებით.

სუბიექტის განვითარების გეგმები

შპს ელ თი მოქმედებს იაპონური ბიზნესის ფილოსოფიის „კაიზენი“-ს პრინციპით, რაც გულისხმობს მუდმივ სწრაფვას გაუმჯობესებისკენ. კომპანიის მიზანია პროცესების დახვეწის შედეგად საოპერაციო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, რაც მოითხოვს მთელი გუნდის ჩართულობას. ბიზნეს პროცესების ეფექტიანი მართვა პირდაპირ არის დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებასთან და შემოსავლების ზრდასთან.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

შპს ელ თი-ს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (IFRS for SMEs) შესაბამისად. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესის შესაბამისად. კომპანია მუდმივად აკონტროლებს ფინანსურ და არა ფინანსურ მაჩვენებლებს, რათა მენეჯმენტი იყოს სრულად ინფორმირებული და შემდგომი გადაწყვეტილებები მიღებულ იქნას შესაბამისი სტრატეგიით.

კომპანიის მენეჯმენტი ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს აფასებს შემდეგ ფინანსურ მაჩვენებლებს:

- კომპანიის მომგებიანობა
- მარაგების ბრუნვალობა
- ფულადი ნაკადების მოძრაობა

არა ფინანსურ მაჩვენებლებს:

- კლიენტთა კმაყოფილება
- სერვისის მომსახურების ხარისხი

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში მოღვაწეობა გარკვეულწილად რისკის მატარებელია. სააღრიცხვო, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე და შესაბამისად ფინანსურ მდგომარეობაზე. არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ რუსეთ-უკრაინის მიმდინარე საომარი ვითარებები, რომელიც დაძაბულ პოლიტიკურ გარემოს ქმნის არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი ევროპის და მსოფლიო მასშტაბით. ქვეყანაში პოლიტიკური დესტაბილიზაციის შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ შემცირდეს მოთხოვნა ჩვენს საქონელსა და მომსახურებაზე და საფრთხე შეექმნას კომპანიის კეთილდღეობას.

გარდა ზემოთ აღნიშნული გარე ფაქტორებისა, კომპანიისთვის, ისევე როგორც მთელი ავტო ინდუსტრიისთვის, უმთავრეს რისკს წარმოადგენს წარმოების პროცესის ხშირი შეფერხებები, გლობალური ლოგისტიკური კრიზისის და მაკომპლექტებელი დეტალების მწვავე დეფიციტის გამო. აღნიშნული პრობლემების შედეგად, მკვეთრად არის შემცირებული წარმოებული ავტომობილების რაოდენობა.

ლაშა ლომიძე
დირექტორი

25.07.2022

